სადოქტორო პროგრამა - „დემოგრაფია“

1. პროგრამის სახელწოდება: „დემოგრაფია“ “Demography”

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი დემოგრაფიაში (PhD of Social Sciences in Demography)

3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: – 180 კრედიტი.

4. პროგრამის ხელმძღვანელი და ავტორი: პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე;

5. სწავლების ენა: – ქართული;

6. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე

დემოგრაფიის სადოქტორო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური, საერთაშორისო აკადემიურ და კვლევით ბაზარზე კონკურენტუნარიანი, სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ხელეწიფება პრაქტიკულ სფეროში როგორც დამოუკიდებელი, ისე კოლექტიური საქმიანობის წარმართვა, ასევე დემოგრაფიული მეცნიერების განვითარებასა და მომავალი თაობის სპეციალისტთა აღზრდაში წვლილის შეტანა.

ამ თვალსაზრისით, დოქტორანტურის დამთავრების შემდეგ სპეციალისტი უნდა იყოს:

- საერთაშორისო პროფესიულ ქსელებსა და საზოგადოებებში თანამშრომლობისა და ახალი ცოდნის გენერირების შემძლე;
- საფუძვლიანად უნდა იცნობდეს და ფლობდეს როგორც თანამედროვე დემოგრაფიულ კონცეფციებს, პარადიგმებსა და იდეებს, ასევე ზოგადად სამეცნიერო და ექსპერტულ მეთოდებსა და მიდგომებს;
- მზად იყოს საქმიანობის წარმატებით წარმართვისთვის: სახელმწიფო დაწესებულებებში, არასამთავრობო სტრუქტურებსა და კერძო სექტორში, რომლებიც დემოგრაფიის სფეროში მოქმედებს.

მას ასევე უნდა შეეძლოს შესაბამისი პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა.

7. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

დემოგრაფიის სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით; გასაუბრება სპეციალობაში და

სადოქტორო კვლევითი პროექტის (პროსპექტუსი) გეგმა **(დანართი N1),** რომელსაც წარმოადგენს დოქტორნატურაში ჩაბარების მსურველი გასაუბრებაზე.

8. სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	დოქტორანტურის კურსდამთავრებული მიიღებს სოციალურ და დემოგრაფიულ მეცნიერებათა უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისთვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ის შეძლებს ცოდნის განახლებასა და გაფართოებას; მიიღებს სიღრმისეულ ცოდნას როგორც ქვეყანაში, ასევე მეზობელ სახელმწიფოებსა და ზოგადად მსოფლიოში მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესებზე, მათ ტენდენციებსა და განვითარების პერსპექტივებზე; გააცნობიერებს თანამედროვე დემოგრაფიული მეცნიერების როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული ხასიათის მიღწევებს და შეძლებს ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული პრობლემების გამოსწორების მიზნით ეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებების შემუშავებას;
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დოქტორანტურის კურსდამთავრებული შეძლებს დემოგრაფიის სფეროში ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას, განახორციელებასა და ზედამხედველობას; შეიმუშავებს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებს და მიდგომებს, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში; სათანადო ინფორმაციის საფუძველზე დემოგრაფიული მოვლენების განვითარების ტენდენციათა გაანალიზებას; ცალკეული ქვეყნების მიხედვით გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკის გამოცდილებათა გათვალისწინებით, ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის საჭირო ოპტიმალური დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებას;
დასკვნის უნარი	დოქტორანტურის კურსდამთავრებული შეძლებს დემოგრაფიის სფეროში ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას, რითაც მოხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავების/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისთვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;
კომუნიკაციის უნარი	დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ექნება დემოგრაფიის სფეროში ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენის, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში უცხოურ ენაზე ჩართვის უნარი;

სწავლის უნარი:	დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ექნება დემოგრაფიის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში;
ღირებულებები	დოქტორანტურის კურსდამთავრებული შეძლებს ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევას და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავებას.

9. სწავლების მეთოდები: დოქტორანტურაში სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები: ვერბალური; ახსნა-განმარტებითი; ლიტერატურასა და სხვა წყაროებზე მუშაობის; წერითი მუშაობის; შედარებითი ანალიზის; სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკის; საველე კვლევისა და დაკვირვების; სივრცითი და დროითი ანალიზის; სისტემური მიდგომის; მონაცემთა ვიზუალიზაციისა და კარტოგრაფირების; სტატისტიკური ანალიზისა და სხვა მეთოდები.

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება აგრეთვე ისეთი მეთოდები, როგორიცაა: დისკუსია; დებატები; ჯგუფური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; შემთხვევის ანალიზი; გონებრივი იერიში; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და ა.შ.

10. დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა: დოქტორანტის ცოდნა თითოეულ სასწავლო კურსში ფასდება 100 ქულიანი სისტემით

თითოეულ საგანში საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სქემით:

ქულების რაოდენობა	ნიშანი	შეფასება
91-100	A	ფრიადი
81-90	B	ძალიან კარგი
71-80	C	კარგი
61-70	D	დამაკმაყოფილებელი
51-60	E	საკმარისი
41-50	FX	ვერ ჩააბარა (დოქტორანტს მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება)

0-40	F	ჩაიჭრა (დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არა არის საკმარისი, მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი და კრედიტების მისაღებად დისციპლინის კურსი განმეორებით უნდა მოისმინოს).

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება კი ხდება საერთო/საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად:

ქულები	შეფასება
summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი)
magna cum laude	ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)
cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება)
bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს)
rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)
insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს)
sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

11. სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით: დემოგრაფიის სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, მათ შორის, სასწავლო კომპონენტია 40 კრედიტი, ხოლო დანარჩენი 140 ეთმობა კვლევას.

სასწავლო კომპონენტი:

სავალდებულო:

- სწავლების მეთოდები - 5 კრედიტი;
- დოქტორანტის სემინარი - 15 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობა – 5 კრედიტი.

არჩევითი:

- დოქტორანტის სემინარი – 15 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობა – 10 კრედიტი;
- სხვა სასწავლო კურსები: 5-15 კრედიტი

ინდივინდუალურ სასწავლო გეგმას, საუნივერსიტეტო სტანდარტის სქემის მიხედვით, ადგენს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს 2 კოლოკვიუმს და სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა – 140 კრედიტი.

- I კოლოკვიუმი
- II კოლოკვიუმი
- სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 140 კრედიტი

კოლოკვიუმი I და II ფასდება ქულების გარეშე შემდეგნაირად:

summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი)
magna cum laude	ძალიან კარგი(შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)
cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება)
bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს)
rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)

insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს)
sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

12. დასაქმების სფეროები: სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები შესაძლოა დასაქმდნენ უმაღლეს საგანმანათლებლო ან კვლევით დაწესებულებებში; ასევე იმ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო სტრუქტურებში (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები, სტატისტიკის ეროვნული სამსახური და სხვ.), რომლებიც საქმიანობენ დემოგრაფიის სფეროებში; დასაქმება შესაძლოა აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მსხვილ საერთაშორისო ბიზნეს-კომპანიებში, რომელთაც უკვე დღეს სჭირდებათ და მომავალში კიდევ უფრო დასჭირდებათ დემოგრაფიის, განსაკუთრებით კი რეგიონული დემოგრაფიისა და მიგრაციის სპეციალისტები.

13. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ–ტექნიკური ბაზა: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურს–ცენტრები და სხვა.
მისაღები კონტინგენტი: სადოქტორო პროგრამაზე შესაძლებელია 5 დოქტორანტის მიღება.

14. სადოქტორო პროგრამის მონაწილე აკადემიური პერსონალი: პროფ. ვაჟა ლორთქიფანიძე, ასოც. პროფ. ანზორ სახვაძე

15. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: სადოქტორო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ.

16. დამატებითი ინფორმაცია: საქართველოში დემოგრაფიის სადოქტორო პროგრამა წარმოდგენილია მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება: აკადემიური საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილება N 137/2015, 28 დეკემბერი

დანართი

განაცხადის ფორმა

სადოქტორო -კვლევითი პროექტის გეგმა (პროსპექტუსი)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სახელი, გვარი:
სადოქტორო პროგრამა:

სადოქტორო კვლევითი პროექტის სათაური:

ა) საკვლევი თემა:
(განსაზღვრეთ საკვლევი თემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალობა).
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 200

ბ) კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ან/და ჰიპოთეზები (საჭიროების შემთხვევაში).
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150

გ) კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა:
(წარმოადგინეთ ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი თემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას).

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 500

დ) მეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები:

(აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საშუალებით იქნება მიღწეული კვლევის მიზანი. სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400

ხელმოწერა:

თარიღი: